

ექვი - |მეცნ-ში - თავისებური ფს-კური განცდა, აღ-ნს უჩნდება აზ-რი /ექმნება შთაბეჭდილება/, რომ გარკვეული მოვლენა ისეთი არ არის რ-რიც ჩანს, რომ ამ მოვლენას აქვს დაფარული მხარე, სხვა განზომილება, რ-იც შეიძლება საპირ-ც კი იყოს იმისა, რაც ჩანს. ასეთი ე. ყოველი მეცნიერული ძიების დასაწყისია. ამ აზრით ე. ინტელექტუალურ გრძნობათა ჯგუფს განეკუთვნება /იხ. გრძნობა/.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ე. ნიშნავს აზრის შემუშავებას, რომ შექმნილ სიტუაციაში სხვა, ფარული და საწინააღმდეგო მომენტი შეჭრილი; მაგ., კაცს აღეძვრის აზრი, რომ მეგობარი, რ-აც ის მთლიანად ენდობა, მას ლალატობს. აი, ეს „აღძრული აზრი“ არის ექვის დასაბამი. მაშინვე იწყება ამის დამადასტურებელი საბუთების ძიება, „აღძრული აზრი“ სუბ-ს ხან სინამდვილედ ეჩვენება, ხან არა. აღ-ნს ეცლება დარწმუნებულობის ნიადაგი. იწყება გაორება, იგი მერყეობს ორსავე შესაძლებლობას შორის; მას ეუფლება ძლიერი უარყოფითი ემოცია, რ-იც თანდათან მთელ პიროვნებას მოიცავს, იგარგება საღი განსჯის უნარი, მდგომარეობა აფექტში გადადის და ტრაგიკული ფინალისკენ მიიწევს /გავიხსენოთ ოტელოს მაგალითი/. ე. მიმდინარეობს დაურწმუნებლობის, გადაუწყვეტლობის, მერყეობის განცდების პირობებში. ეს ამბივალენტურ გრძნობათა ჯგუფს მიაკუთვნებენ.

### 3

ვალიდობა /ლათ. *validus* - ჯანსაღი, ძლიერი, ძალის მქონე/ - ფს-გიაში ნიშნავს ტესტის ვარგისობას, საიმედოობას ანუ რელიაბილიტობას; ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ტესტის ფსიქოდიავნოსტიკურ ვარგისობას, მის შემეცნებით ღირებულებას; თუ რამდენად არის ტესტი თავისი დანიშნულების შესატყვისი, რამდენად სწორად და ზუსტად ავლენს ტესტი სუბიექტის თვისებას, უნარს, დისპოზიციურ თავისებურებას, რ-ის გასაზომად არის ის ნავარაუდევო, შესწევს თუ არა დიაგნოზის ან პროგნოზირების ძალა; რამდენად აკმაყოფილებს ყოველი ტესტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, სტაბილურობას, რიცხოვრივი გამოხატვის შესაძლებლობას, გასაზომი ნიშნის ხარისხობრივად დიფერენცირებას; უნარს და სხვა, „მთლიანი პიროვნების“ ან „ხასიათის პროექციული ტესტების“ ვარგისობის შემოწმება უფრო რთულია და ძნელი, ვიდრე რაოდენობრივი შეფასების ტესტებისა, რ-თა მიღწევების რაოდენობრივი აღრიცხვა და რიცხოვრივი გამოხატვა ადვილად ხერხდება /მაგ., ინტელიგენტობის შემოწმების ტესტები/. ტესტის ვარგისობის შემოწმების ხერხებია: აღ-ნთა დიდ რიცხვზე მათი აპრობაცია, პარალელურ ტესტთა მეთოდი /ორი ტესტით მსგავს პიროვნებათა გამოცდის შედეგების ურთიერთთან კორელაცია/, ექსტრემული შემთხვევების შემოწმების ჩატარება.

ვარიაციის მოძღვრება - | დიფერენციული ფს-გიის ნაწილი. შეისწავლის აღ-ნის ერთი და იმავე ნიშნის ან თვისების ცვალებადობას სხვა-

დასხვა პიროვნებებში.

**ვარჯიშა** — ჩვეულებრივი გაგებით: რაიმე მოქმედების გეგმაშეწონილი გამეორება მრავალჯერ მისი განმტკიცების მიზნით. ვის შედეგად მოქმედების შესრულება უმჯობესდება, უფრო იოლი, ჩქარი, ზუსტი და მექანიკური ხდება. ვის ეს შედეგი ერთნაირად ვრცელდება რაც ფიზიოლ. მოვლენებზე /ორგანიზმის გავრჯიშებაზე/, ისე ფს-კურზე /ფს-კური ფუნქციების გავარჯიშებაზე/.

**ვარჯიშის გადატანა** — იხ. ტრანსპოზიცია.

**ვებერის კანონი** — ძირითადი ფსიქო-ფიზ. კანონი, რაც გულისხმობს მუდმივ კონსტანტურ დამოკიდებულებას მოცემულ ძირითად გამლიზიანებელსა და ნამატ გამლიზიანებელს შორის; სახელდობრ: არსებული შეგრძნების ინტენსივობა ოდნავ შესამჩნევად რომ შეიცვალოს, საჭიროა შესაფერისი გამლიზიანებელი სრულიად გარკვეულ დონემდე გაიზარდოს. მაგ. სიმძიმის შეგრძნებაში ეს მიმართება უდრის პირვანდელი გალიზიანების  $1/3$ -ს მაგ., 30 გ სიმძიმის შეგრძნება რომ ოდნავ შეიცვალოს, საჭიროა ამ 30 გ-ს დაემატოს 10 გ. თუ ამოსავალი სიმძიმე 120 გ იქნება, მაშინ მას უნდა დაემატოს 40 გ. ე. ი. მისი  $1/3$ , რომ მივიღოთ პირველისაგან ოდნავ განსხვავებული შეგრძნება, სინათლის შეგრძნებაში გალიზიანების მომატება უნდა აღწევდეს ძირითადი გამლიზიანებლის  $1/100$ -ს. მაგ., ვთქვათ, გვაქვს ასსანთლიანი სინათლის გალიზიანებით გამოწვეული შეგრძნება, რომ მივიღოთ ამისაგან ოდნავ განსხვავებული სინათლის შეგრძნება, ამ ძირითად გამლიზიანებელს /ასსანთლიან სინათლეს/ უნდა დაემატოს  $1/100$  ინტენსიურობის გამლიზიანებელი. ეს კონსტანტური დამოკიდებულება მოცემულ გამლიზიანებელსა და ნამატ გამლიზიანებელს შორის, როგორც კანონი, აღმოაჩინა ე. ვებერმა იხ. გ. ფენერის კანონი.

**ვეგეტატიური ნერვული სისტემა** /ანუ ავტონომიური ნერვული სისტემა/ — აინერვირებს ყველა შინაგან ორგანოს, საოფლე ჯირკვლებს და სისხლძარღვებს. უზრუნველყოფს ჩონჩხის კუნთის რეცეპტორებისა და ნაწილობრივ თვით ნერვული სისტემის ტროფიკულ ინერვაციას. ვა. ნ. ს-ის მოქმედება ნებისყოფის კონტროლს არ ექვემდებარება, ხოლო მისი „ავტონომიურობა“, ც. ნ. ს-ის მაღალ ნაწილებისაგან დამოუკიდებლობა, პირობითია, რადგან დამტკიცებულია, რომ თავის ტვინის დიდი ჰემისფეროები არეგულირებენ ყველა იმ ორგანოს, რაც აინერვირებს ვა. ნ. ს.

ვა. ნ. ს. არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აგზნებადობას, შინაგანი ორგანოებისა და ც. ნ. ს-ის ავტომატიზმს. ვა. ნ. ს-ში გამოყოფენ: 1 / ცენტრალურ ნაწილს, რომელიც მოთავსებულია თავისა და ზურგის ტვინის რუხ ნივთიერებაში ცალკეული ბირთვების სახით და 2 / პერიფერიულ ნაწილს — პერიფერიულ კვანძებს და ნერვულ ბოჭკოებს, რაც ქმნიან წნულებს.

ვ. ნ. ს. შედგება ორი ნაწილისაგან: სიმპათიკური და პარასიმპათიკური. ისინი მეტწილად ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებას ავითარებენ – ფუნქციური ანტაგონისტები არიან. სიმპათიკური ნ. ს. უზრუნველყოფს ორგანიზმის ინტენსიურ მოქმედებას, პარასიმპათიკური კი ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ დახარჯული რესურსების აღდგენას. სიტუაცია, რაც ორგანიზმისაგან სასწრაფო მოქმედებას მოითხოვს, ხელს უწყობს სიმპათიკური ნ. ს-ის ტონუსის მომატებას, ხოლო ძილის დროს მატულობს პარასიმპათიკური ნ. ს-ის ტონუსი.

ვერბალურ-ლოგიკური აზროვნება – იხ. ლოგიკურ-ვერბალური აზროვნება.

ვერიფიკაცია /ლათ. *veritas* – სიმართლე, ჭეშმარიტება/ – რაიმე ვარაუდის, დებულების, ჰიპოთეზის სისწორის შემოწმება, დადასტურება, დამტკიცება. ამ აზრით ვ. ნიშნავს: ყოველი ჭეშმარიტი შემეცნების მეთოდოლოგიურ პოსტულატს. ის დებულება ან მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად, რის ვერიფიცირება შეიძლება ყველა საშუალებით და ხერხით – გამოცდილებით, დაკვირვებით, ახალი ფაქტების შემოწმებით. თუ ჰიპოთეზას უკლებლივ ყველა შესატყვისი შემთხვევა ეთანხმება, მაშინ ის ვერიფიცირებულია, ე. ი. გამართლებულია.

ვერნიკეს ცენტრი – მეტყველების ასოციაციური – ასიმეტრიულ-აკუსტიკური /სენსორული/ ცენტრი. მოთავსებულია თავის ტვინის ქერქში. საფეთქლის წილის ზემო ხვეულში. ჩვეულებრივ, მემარჯვენე სუბ-თან/იგი მოთავსებულია თავის ტვინის მარცხენა ჰემისფეროში, ხოლო ცაციებში – მარჯვენა ჰემისფეროში. ვ. ც-ს დაზიანების შედეგად ვითარდება სენსორული აფაზია, რ-ვისაც დამახ. მეტყველების აღქმის დარღვევა: ავად-ს არ ესმის წარმოთქმული სიტყვის მნიშვნელობა, ხოლო სმენა /ბგერების აღქმა/ და საკუთარი მეტყველების უნარი დაცულია.

ვიბრაციის შეგრძნება /ლათ. *vibratio* – რხევა/ – შეხების ორგანოსთან დაკავშირებული თავისებური შეგრძნება. მაგ., როცა რ-მე მუსიკალური საკრავის ქლერად სიმს მხოლოდ ხელის თითით ეხებით /მხედველობა გამორიცხებულია/, სიმის რხევას მაინც შევიგრძნობთ ვიბრაციით. ამ შეგრძნებას და კაცმა ვიბრაციის შეგრძნება უწოდა. ეს შეგრძნება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ბრმებთან და ყრუ-მუნჯებთან. ვ. შ. მათთან მხედველობისა და სმენის შეგრძნების მაგივრობას ასრულებს. მაგ., როდესაც ბრმა კედელს უახლოვდება – არ ეჯახება და გვერდს უვლის იმიტომ, რომ იგი სხეულით გრძნობს კედლიდან არეკლილი ჰაერის ვიბრაციის ცვლილებას. ბრმა და ყრუ-მუნჯი ელენ კელერის დაკვირვებით, მუსიკალური ნაწარმოების შესრულებით წარმოქმნილი ჰაერის ვიბრაციის ზემოქმედება თითქოს მასში დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევდა. პირველ მაგალითში, /ბრმა და კედელი/, ვიბრაცია ასრულებს მხედველობის მაგივრობას, მეორეში კი – სმენის მაგივრობას.

გიომდა მოგონების მეთოდი – თვითდაკვირვების ერთ-ერთი მეთო-  
დიკური ხერხი ფს-გიაში; გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, „როცა რ-სამე  
განცდას ჩვენში რაიმე ინტერესი გამოუწვევია და ამის გამო იგი განსა-  
კუთრებით აღგვიბეჭდავს ცნობიერებაში და შემდეგ ვიგონებთ მას“ /დ.  
უზნაძე/. ასეთი თვითდაკვირვებით მიღებული მასალა, თუმცა არასრულია,  
მაგრამ მას ერთგვარი საორიენტაციო მნიშვნელობა მაინც აქვს.

ვისკოზური ტემპერამენტი /ლათ. viscosus – წებოვანი, ბლანტი/ –  
ე. კრეჩმერის და მისი მოწაფის კ. ენკეს მიერ შემოტანილი ტერმინი ათ-  
ლეტური ტიპის კონსტიტუციის შესატყვისი ტემპერამენტის აღსანიშნა -  
ვად. მათი მტკიცებით ვ. ტ-ს ახას: ამტანობა, შეუპოვრობა, უდრეკობა,  
უინიანობა, მოუქნელობა, ინტელექტუალური და ემოციური თანაზომიე-  
რება, გულგრილობა, რიგიდობა. იხ. ვ. ტ-ის აღ-ნი შეიძლება იყოს ფლეგ-  
მატური, მშვიდი, ენერგიული, თავის მოვალეობის შემსრულებელი, საქ-  
მიანი, ან ექსპლოზივური, ფიცხი და სხვა.

ვისცერალური რეცეპტორები /ლათ. viscera – შიგნეულობა / –  
შინაგან ორგანოებში და სისხლძარღვებში მოთავსებული რეცეპტორები,  
რ-იც არეგულირებენ ამ ორგანოების რეფლექსურ მუშაობას.

ვისცეროტონიკური ტემპერამენტი /ლათ. viscera და ბერძ. tonos –  
დაძაბვა/ – ე. შელდონის კლასიფიკაციით: ტემპერამენტის ერთ-ერთი  
ტიპი, რ-იც შეესატყვისება ენდომორფული ტიპის სხეულის აგებულებას,  
ენათესავეება ე. კრეჩმერის ციკლოთიმურ ტემპერამენტს. ვ. ტ, სთვის და-  
მახ.: სიმშვიდე, სასიამოვნო გრძნობებისაკენ მიდრეკილება, კონტაქ-  
ტობა, გულახდილობა, ტოლერანტობა, სახელწოდება „ვისცეროტონიკური“  
დაკავშირებულია საჭმლის მონელების სისტემის სახელწოდებასთან.

ვიურცბურგის ფსიქოლოგიური სკოლა – აზროვნების კვლევის ფს-  
გიური სკოლა. დაარსდა XX ს-ის დამდეგს. წარმომადგენლები არიან ო.  
კიულპე, ბ. ახი, კ. ბიულერი, კ. შარბე, ა. მესერი, ჰ. ვატი და ო. ზელცი.  
აღნიშნული სკოლა მკვეთრად დაუპირა სენსუალისტურ და ასოციაციონი-  
სტურ მიმდინარეობას ფს-გიაში. პირველად საქ იკვლიეს აზროვნება „სი-  
სტემატური ექსპერ-ლი თვითდაკვირვების მეთოდით“ და აქვე დამტკიცდა,  
რომ წინააღმდეგ განმტკიცებული შეხედულებისა, აზროვნების ექსპერ-  
ლი კვლევა შესაძლებელია.

ღებულებები, რ-ბიც ამ სკოლამ კერძოდ აზროვნების სისტემატური  
ექსპერ-ლი კვლევის შედეგად წამოაყენა, შემდეგია:

1. აზროვნების პროცესი, წინააღმდეგ ასოციაციური ფს-გიის მტკი-  
ცებისა, არ შეიცავს გრძნობად თვალსაჩინო შინაარსებს; აზროვნებისა -  
თვის დამახ. „არათვალსაჩინო შინაარსების“ /აზრის, ცოდნის/ არსებო-  
ბა, რ-ბიც წარმოდგენაზე არ დაიყვანება; აზროვნება წმინდა ცოდნით  
განისაზღვრება.

2. აზროვნების პროცესი არ არის წარმოდგენილი უბრალო რეპრო -

დუქცია, რაც ასოციაციური თანამიმდევრობა განსაზღვრავს; იგი საგნისაკენ მიმართული ინტენციური ბუნების აქტია, რადგან ყოველი აზრი ობიექტურ ვითარებას, საგანს გულისხმობს.

3. დასმულ ამოცანას, პრობლემას, რაც უნდა გადაწყდეს, აზროვნების მიმდინარეობაში განსაზღვრელი მნიშვნე აქვს. ის აქ „დეტერმინაციის ტენდენციის“ როლს ასრულებს და აზროვნების დინამიკას აწესრიგებს.

4. აზროვნების მიმდინარეობაში ადგილი აქვს აგრეთვე სხვა სახის „არათვალსაჩინო შინაარსებსაც“; ასეთია მაგ., „ემოციური ტონით შეფერილი ცნობიერების მდგომარეობანი“ / Bewusstseinslage / – ეჭვი, დარწმუნებულობა, მოლოდინი, რებიც ზედმეტი და შემთხვევითი კი არ არის აზროვნებისათვის, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს და ეხმარება მას, რაც ამოცანის გადაწყვეტისაკენ მიმართულ პროცესს.

5. ფ. ს-მ აზროვნების კვლევას ახალი მიმართულება მისცა და იგი, ახალ გზაზე დააყენა, მაგრამ შემდგომმა ფს-გიურმა კვლევამ არ მიიღო აზროვნების პროცესიდან თვალსაჩინო შინაარსების / აღქმის, წარმოდგენის / სრული განდევნა და აზროვნების მხოლოდ წმინდა აზრებით განსაზღვრულობა: დამტკიცდა, რომ აზროვნების პროცესში თვალსაჩინო შინაარსებიც მონაწილეობს და, რომ თვალსაჩინო და არათვალსაჩინო შინაარსებს შორის მრავალმხრივი მჭიდრო და უწყვეტი კავშირიც კი არსებობს.

მაგრამ ამ შესწორების გვერდით აღსანიშნავია შემდეგიც: აზროვნება რომ გადასაწყვეტი ამოცანითაა ტენდირებული, რომ მას მუდამ ერთი მიმართულება აქვს და არა მრავალი, რაც ეს წარმოდგენათა ასოციაციისთვის არის დამახ. — ეს დებულება თანამედროვე მეცნ. ფს-გიაშიც საყოველთაოდაა მიღებული. დეტერმინაცია, რზეც პირველად ფ. ს-ის წარმომადგენლებმა მიუთითეს, აზროვნების პროცესის სპეციფიკური ნიშანი.

ვნება — ფანატიზმამდე მისული გატაცება რაიმეთი, გლინდება მწვავე მოთხოვნებით გამოწვეული მიდრეკილების სახით. ახას. დიდი ემოციური სულიერი განწყობილება. ფ-ს ყოველთვის თავისი საგანი აქვს და მისი მოქმედება ამ საგნისკენ არის მიმართული. ე. იმორჩილებს სუბორდინაციას | ძალას განსაზღვრავს მის მოქმედებას. გაცევა გონების კონტროლს

არ ექვემდებარება, ჩართულია | ვნებისებურ მოქმედებაში; ნებისყოფა შეზოჭილია; ზოგჯერ ე. მიზნისდა მიხედვით, დიდი მიღწევების საწინდარიც ხდება; / „არაფერი დიდი არ შესრულებულა და არც შეიძლება შესრულდეს ვნების გარეშე“, გ. ჰეგელი / | მაგრამ, მეორე მხრივ, ე-მ: შეიძლება აღნი სრულ განადგურებამდე მიიყვანოს / ლოთობა, გაუმაძღრობა, ავბორცობა და სხვა / | ე. განსხვავდება აფექტისაგან თავისი ქრონიკული ხასიათით: იგი ხანგრძლივად მიმდინარე პროცესია.

ვ-ის დაკმაყოფილების შედეგად მიღებული განცდა ყოველთვის აშბი-  
ვალენტური ხასიათისაა.

ვოლუნტარიზმი /ლათ. voluntas – ნებისყოფა/ – ფილოს-ში იდეალის-  
ტური მიმართულება, რ-ის თანახმად ნებისყოფა ერთგვარ სულიერ საწ-  
ყისს, დასაბამს წარმოადგენს, რ-იც საფუძვლად უდევს რ-რც ფიზ. ისე  
ფს-კურ მოვლენებს /ა. შოპენჰაუერი/.

ფს-გიაში ვ. გულისხმობს, რომ ფს-კურ მოვლენათა მიმდინარეობა-  
ში ძირითადია და წამყვანი ნებელობის პროცესი; ის არ დაიყვანება  
წარმოდგენათა ასოციაციაზე იგი თავისებური ფს-კური ფენომენია, რ-იც უდევს  
საფუძვლად და განსაზღვრავს ფს-კის მიმდინარეობას /ვ. ვუნდტი/. ფს-გიური ვ.  
თავისი არსებით ფილოსოფიურ-იდეალისტური კონცეფციის გამოძახილია.

ზ

**ზანდერის ილუზია** – ოპტიკურ-გეომეტრიული ილუზიის ერთ-ერთი  
სახე. დაადგინა ფ. ზანდერმა: ერთი და იმავე სიგრძის დიაგონალი დიდ-  
პარალელოგრამში უფრო დიდად გვეჩვენება, ვიდრე პატარა პარალე-  
ლოგრამში. /ინ. ხახ. 8/.

ნახ. № 8

„ზე-მე“ /გერმ. Über-Ich/ – ფროიდის მიერ შემოტანილი ცნება  
ფსიქოანალიზში. ფროიდის შეხედულებით, ად-ნის ფს-კის ფენობრივ აგე-  
ბულებაში „ზე-მე“ - ს უკავია ცნობიერი „მე“ - ს ყველაზე ზედა ფენა;  
იგი ეთიკურ-მორალური პრონციპების ერთობლიობაა, სუბ-ის ყველაზე  
მაღალზნეობრივი მოთხოვნებების ცნობიერებაა. „ზე-მე“ მიღებულია  
პიროვნების უმაღლეს/ინსტანციად – სინდისად. იგი კარნახობს ცნობიერ  
„მე“-ს ამ მაღალი ინსტანციიდან და განსაზღვრავს, თუ რომელი თავისი  
სურვილი, განზრახვა თუ ქცევაა სუბ-სთვის მისაღები და რომელი – მიუ-  
ღებელი. „ზე-მე“ ყოველთვის თვითკრიტიკულადაა განწყობილი, მეთვალ-  
ყურეობს „მე“-ს მოქმედებას, რომ მან თავი დაიცვას „არაცნობიერი“  
„იგი“ – ფენის იმპულსებისაგან, არ დაუშვას დაბალი, არაცნობიერი ში-  
ნაარსების /ლტოლვებისა და სურვილების/ რეალიზება. ფროიდის მიხე-  
დვით, „ზე-მე“-ს ჩასახვა და განვითარება ადრეულ ბავშვობის ასაკიდან  
იწყება.

**ზოგადი გონიერება** იხ. გონიერება.

**ზოგადი ფსიქოლოგია** 1. ზ. ფ. შეისწავლის ფსიქიკის ზოგად კანონ-  
ზომიერებას. 2. ადამიანის ზოგადი ფსიქოლოგია – ფს-გიის ფუძემდებე-  
ლი დარგი. შეისწავლის: ზრდადამთავრებული, ნორმალური ადამიანის  
სულიერი ცხოვრების ფუნქციებს და მათი მოქმედების ზოგად კანონზო-  
მიერებებს /ინ. ფსიქოლოგია/.